საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გახარია გიორგი ზაურის ძე

გ. გახარია

გახარია გიორგი ზაურის ძე (დ. 19. III. 1975, თბილისი), ქართველი პოლიტიკოსი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი 2019–21.

დაამთავრა თსუ-ის ისტორიის ფაკ-ტი, (1994), მ. ლომონოსოვის სახ. მოსკოვის სახელმწ. უნ-ტი, (*პოლიტ.* მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხით), იმავე უნ-ტის ეკონომიკის ფაკ-ტის უმაღლეს ბიზნესსკოლაში, 2006–09 იყო მოსკოვის სახელმწ. უნ-ტის გამოყენებითი ბიოტექნოლოგიის მოწვეული ლექტორი.

2008–13 –Lufthansa Service Holding A.G. Gervnany Grz ბიზნესის განვითარების დირექტორი აღმ. ევროპაში, დსთ-ის ქვეყნებსა და რუსეთის ფედერაციაში.

2013-იდან მოღვაწეობს საქართველოში: იყო საქართვ. ბიზნესომბუდსმენი. (2013–16)–ეკონომიკური საბჭოს მდივანი (2014–16) საქართვ. მე-9 (2016 წ. 18–30 ნოემბ.) და მე-10 (2020 წ. 11–29 დეკ.) მოწვევის პარლამენტის წევრი პარტ. სიით საარჩევნო ბლოკი „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“,– საქართვ. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი (2016–17).

2017–19 დაინიშნა საქართვ. შინაგან საქმეთა მინისტრად. ეკავა ასევე ვიცე-პრემიერის პოსტი. 2019 აპრ.-სექტ. იყო ეროვნ. უსაფრთხოების საბჭოს მდივანი. 2021 წ. 18 თებ. გადადგა პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან. 2021 წ. 29 მაისს დააარსა პარტია „საქართველოსთვის“.